სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/101

ქ. თბილისი 24 ივნისი 2024 წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის და 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის, ირაკლი გაბისონიას 2024 წლის 21 ივნისის სამსახურებრივი ბარათის (726359) და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №01-05-02/19 სხდომის ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. წარედგინოს რექტორს წინადადება 2024/2025 სასწავლო წლიდან 4 წლის ვადით უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთი ვაკანტური თანამდებობის (0,5 საშტატო ერთეული) დასაკავებლად 2024 წლის 05 ივლისიდან ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე.

2. დამტკიცდეს გამოსაქვეყნებელი განცხადება, საკონკურსო პირობები და კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი 1-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის განაცხადის და ანკეტის ფორმები(დანართი 2, დანართი 3).

4. დამტკიცდეს აკადემიურ პერსონალთან დასადები ხელშეკრულების ფორმა (დანართი 4).

5. განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე პრესაში გამოქვეყნდეს 2024 წლის 05 ივლისს.

6. საკონკურსო კომისია და სამდივნო შეიქმნას 2024 წლის 20 აგვისტომდე.

7. საკონკურსო განცხადებების მიღების ვადები განისაზღვროს 2024 წლის 26 აგვისტოდან 05 სექტემბრის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის სამდივნოში.

8. კონკურსი ჩატარდეს 2024 წლის 10 სექტემბერს. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2024 წლის 11 სექტემბერს საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.

9. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://gtu.ge/ არა უგვიანეს 2024 წლის 20 სექტემბერს.

10. კონკურსი ჩატარდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ” დებულების შესაბამისად.

11. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დანართი 1

განცხადება

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) აცხადებს ღია კონკურსს 2024/2025 სასწავლო წლიდან 4 წლის ვადით უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანტური თანამდებობის (0,5 საშტატო ერთეული) დასაკავებლად.

I. განცხადებების მიღების და კონკურსის ჩატარების ვადები

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის შესაბამისი ინფორმაცია (მათ შორის განცხადების და ანკეტის ფორმები) გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.
2. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს 2024 წლის 26 აგვისტოდან 05 სექტემბრის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, საკონკურსო კომისიის სამდივნოში (კოსტავას ქ. №77, VI კორპუსი, IX სართული, ოთახი №901ა, ტ.: 557 346 734).
3. კონკურსი ჩატარდება 2024 წლის 10 სექტემბერს.
4. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2024 წლის 11 სექტემბერს საკონკურსო კომისიის მიერ უნივერსიტეტის შესაბამის სასწავლო კორპუსში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge;
5. კონკურსის ჩატარების წესის დარღვევასთან დაკავშირებით განცხადებები/საჩივრები საკონკურსო კომისიაში მიიღება 2024 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით.
6. აკადემიურ საბჭოს მიერ დამტკიცებული კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://gtu.ge/ არა უგვიანეს 2024 წლის 20 სექტემბერს.
7. კონკურსში გამარჯვებულ პირთან აფილირებისა და შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება მოხდება საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, 2024/2025 სასწავლო წლის დაწყებამდე.

II. საკონკურსო პირობები

1. კონკურსის პირობები:

ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა პირადად (ან წარმომადგენლის მეშვეობით) უნდა წარმოადგინოს:

ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა, აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (დედანი და ასლი);

ბ) სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
გ) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი საბუთი (საბუთები) დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ბეჭდით;
დ) სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების ნუსხა, დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების/ორგანიზაციის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (დამოწმება ასევე შესაძლებელია უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და აკადემიური დეპარტამენტის/ ფაკულტეტის ბეჭდით);
ე) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);
ვ) 2 ფოტოსურათი, 3X4.
ზ) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.
შენიშვნა: ამ პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცნობების წარმოდგენის ვალდებულება არ აქვს პირს, ვისაც უკვე წარმოდგენილი აქვს აღნიშნული ცნობები უნივერსიტეტის ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტში.
3. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებისა, კონკურსში მონაწილეობის მსურველმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:
ა) მომავალი აკადემიური საქმიანობის კონცეპტუალური ხედვა ან/და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ხედვა. კონცეფციაში ინტეგრირებული უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსის განვითარების ხედვა და სამეცნიერო პროექტი/პროექტები გათვლილი მინიმუმ ოთხ წელზე, ნიმუშად წარმოდგენილ უნდა იქნეს ერთი ან ორი სილაბუსი;
ბ) ბოლო 5 წლის პერიოდში განხორციელებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგები, რომლებიც უნდა მოიცავდეს:

- საერთაშორისო და რეგიონულ აკადემიურ და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობას (კონფერენციები, კოლოკვიუმები, ვორკშოპები, ვებინარები და სხვ.);
- საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე განხორციელებული კვლევების შედეგად მომზადებულ პუბლიკაციებს (წიგნები, კრებულები, სტატიები და სხვ.)

გ) იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატს აქვს საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის გამოცდილება, სასურველია, წარმოადგინოს საერთაშორისოდ აღიარებული მინიმუმ ერთი მეცნიერის სარეკომენდაციო წერილი, რომლითაც დასტურდება ერთობლივი აკადემიური მუშაობის გამოცდილება და მომავალი აკადემიური სამეცნიერო/კვლევითი თანამშრომლობაასეთის არსებობის შემთხვევაში;
დ) ბოლო 5 წელიწადში მის მიერ გამოქვეყნებული სტატიებიდან ერთი-ერთი, რომელსაც თვითონ საუკეთესოდ მიიჩნევს.

ინფორმაცია აკადემიური პერსონალის დატვირთვის და ანაზღაურების შესახებ

აკადემიური პერსონალის ვალდებულება შედგება სამი კომპონენტისგან:

1. სასწავლო-პედაგოგიური;
2. საკონსულტაციო ვალდებულება და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის უზრუნველყოფა/მონაწილეობა;

3. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა.

ასოცირებული პროფესორის (0,5 საშტატო ერთეული) ვალდებულებები

(ანაზღაურება - თვეში **647.50 ლარი**)

1. სასწავლო-პედაგოგიური (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია, საკურსო სამუშაო, საკურსო პროექტი) კვირაში 07-08 საათი, 210-240 საათი წლიური აკადემიური დატვირთვა;
2. საკონსულტაციო ვალდებულება და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის უზრუნველყოფა/მონაწილეობა;
3. **სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა:**

   3.1. ყოველ ორ წელიწადში, არანაკლებ ორი სტატიის გამოქვეყნება ადგილობრივ რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში/კრებულში (აქედან არანაკლებ ერთი - სტუდენტ(ებ)ის თანამონაწილეობით);

   3.2. ყოველ ორ წელიწადში, საერთაშორისო, მაღალ რეიტინგულ რეფერირებად ჟურნალში/კრებულში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება;

   3.3. ყოველ ორ წელიწადში, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში (კონფერენცია, სიმპოზიუმი, ვორკშოპი, სამეცნიერო სემინარი, კონგრესი) მონაწილეობა მომხსენებლის სტატუსით;

   3.4 ოთხი წლის განმავლობაში, გამოაქვეყნოს ერთი სახელმძღვანელო, სამეცნიერო წიგნი, მონოგრაფია ან კრებული;

   3.5. ოთხი წლის განმავლობაში, მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტში.

ასოცირებული პროფესორის ვალდებულებაში შედის, აგრეთვე:

ა) მაგისტრანტის ან/და დოქტორანტის ხელმძღვანელობა (როგორც წესი, ერთდროულად არაუმეტეს 2 მაგისტრანტი და 2 დოქტორანტი);

ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დახვეწა და განვითარებაზე ზრუნვა;

გ) შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ის საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის მუდმივი განვითარება;

დ) შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ის საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო ლიტერატურის მომზადება/ უზრუნველყოფა.

III. მონაწილეთა შეზღუდვა

1. კონკურსში არ დაიშვება პირი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეზღუდული აქვს მოქმედი კანონმდებლობით.

2. პირი, რომელიც მუშაობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სტუ-ში გაიმარჯვებს კონკურსში, შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე სტუ-თან უნდა გააფორმოს აფილირების ხელშეკრულება.

IV. კონკურსის ჩატარების წესი

1. კონკურსი ჩატარდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ” დებულების შესაბამისად, რომლებსაც კონკურსანტი გაეცნობა საკონკურსო კომისიაში და უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
2. საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება: წარმოდგენილი კონფეფციის გათვალისწინებით, კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკული, სასწავლო-მეთოდური და პედაგოგიური საქმიანობა; სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაციები, გამოცდილება და დამსახურება; ასევე, კონკურსანტის მიერ ჩატარებული ლექციის ან/და საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.
3. კონკურსის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

. . . . . .

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს

მოქალაქე . . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

/სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი,
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი/

განცხადება

გავეცანი 2024 წლის 05 ივლისის გაზეთ „რეზონანსში“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს განცხადებას აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ და მსურს მივიღო მონაწილეობა . . . . . ფაკულტეტის . . . . . აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში .

ამასთან ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვეთანხმები უნივერსიტეტის წესდებას, ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს, შინაგანაწესს, დებულებას აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ, აკადემიური საბჭოს შესაბამის დადგენილებებს, აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობებს და კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გასაფორმებელი აფილირებისა და შრომითი ხელშეკრულებების მოთხოვნებს.

თანახმა ვარ, საკონკურსო/სახელშეკრულებო ურთიერთობის მიზნებისათვის უნივერსიტეტის მიერ ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

ანკეტა და მისი დანართები წარმოდგენილია . . . გვერდზე.

ხელმოწერა: . . . . . .

. . . . . .
/თარიღი/

რეგისტრირებულია: _____ _____
თარიღი № სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით

მიიღო: _____ _____
სახელი, გვარი ხელმოწერა

ფოტო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

2024 წელი

<u>კონკურსანტის ანკეტა</u>

1. კონკურსანტი:

გვარი:		სახელი:	
პირადი ნომერი:		დაბადების თარიღი:	
მოქალაქეობა:		ელ.ფოსტა:	
მისამართი:			
ტელეფონი:			

2. საკონკურსო თანამდებობა:

აკადემიური თანამდებობა: (მოინიშნოს)	❒ პროფესორი	❒ ასოცირებული პროფესორი	❒ ასისტენტ-პროფესორი	❒ ასისტენტი

3. საკონკურსო საგანთა ჯგუფი/საგნები, რომელთა გაძღოლა/სწავლება შემიძლია:

საკონკურსო საგანთა ჯგუფი/საგნები	
№	ჩამონათვალი

4. განათლება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) დასახელება, ფაკულტეტი, სპეციალობა, კვალიფიკაცია, ჩარიცხვის და დამთავრების წლები:		დანართი №

აკადემიური ხარისხის	სადისერტაციო თემის დასახელება, დაცვის წელი	დანართი №
დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი		

5. საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობა

5.1. სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა*

განხორციელებული და მიმდინარე სამეცნიერო პროექტები	წელი	თემის/სამუშაოს დასახელება	პოზიცია (ხელმძღვანელი/მენეჯერი/ ძირითადი შემსრულებელი და სხვა)

5.2. პედაგოგიური საქმიანობა*

ბაკალავრიატი (სასწავლო კურს(ებ)ი)	სასწავლო წელი

მაგისტრატურა (სასწავლო კურს(ებ)ი, ხელმძღვანელობა)	

დოქტორანტურა (სასწავლო კურს(ებ)ი, ხელმძღვანელობა)	
• – 2016-2021 წლების მონაცემები	

სულ პედაგოგიური სტაჟი (ლექციების, სემინარების, პრაქტიკული და ლაბორატორიული და სხვა მეცადინეობების ჩატარება) სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უსდ-ში, წელი	
დამატებითი ინფორმაცია:	

6. კონკურსანტის სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაცია, გამოცდილება და დამსახურება

6.1. პუბლიკაციები

დასახელება	რაოდენობა		დანართი №
	2018 წლის ჩათვლით	2019-2024 წლები	
მონოგრაფიები			
სამეცნიერო სტატიები			
სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, სხვა სასწავლო-მეთოდური საშუალებები და ლიტერატურა			
კონფერენციებში (კონგრესებში, სიმპოზიუმებში) მონაწილეობა			
დაცული დისერტაციების, სამაგისტრო (საკვალიფიკაციო) ნაშრომების ხელმძღვანელობა, კონსულტანტობა			
კონფერენციებზე გამარჯვებული / წარმოდგენილი სტუდენტური მოხსენების ხელმძღვანელობა			
გამოგონებები (საავტორო მოწმობები ან პატენტები)			

6.2. სხვა აქტივობები

დასახელება	ინფორმაცია	არჩევის/მინიჭების/აქტივობის და ა.შ. წელი/წლები	დანართი №
მეცნიერებათა აკადემიების წევრობა			
სამეცნიერო წოდება			

საერთაშორისო, სახელმწიფო და რეგიონალურ პროგრამებში მონაწილეობა			
სარედაქციო კოლეგიებში მუშაობის გამოცდილება			
კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა			
კვალიფიკაციის ამაღლება (ტრეი–ნინგები, ვორქ-შოფები და სხვა)			
ჯილდოები (ეროვნული/ სახელმწიფო/დარგობრივი პრემია, ორდენი, მედალი და სხვ.)			
საპატიო წოდებები			
ლექციების კურსის წაკითხვა უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში			
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების კომერციალიზაცია, დანერგვა			
რეალიზებული პროექტები			
შემოქმედებითი კონკურსები, მათ შორის, საერთაშორისო			
სხვა აქტივობა, მიღწევა, კვალიფიკაცია, გამოცდილება და დამსახურება			

7. სამსახურებრივი გამოცდილება

წლები	დაწესებულების დასახელება, თანამდებობა	დანართი №

სამუშაო ადგილი განცხადების შემოტანისას		დანართი №
დაწესებულების დასახელება. მიუთითეთ შესაბამისი სტრუქტურული ერთეული (ფაკულტეტი, განყოფილება, დეპარტამენტი, ლაბორატორია)		
დაკავებული თანამდებობა:		
დაწესებულების მისამართი და ტელეფონი:		

8. ენების ცოდნა

მშობლიური ენა:		
უცხო ენა:	თვითშეფასებები - თავისუფლად, საშუალოდ, ლექსიკონის დახმარებით	დანართი №
რომელ უცხო ენაზე შეძლებთ მეცადინეობების ჩატარებას		

9. კომპიუტერთან მუშაობის უნარები

კომპიუტერული პროგრამა:	თვითშეფასებები - ძალიან კარგი, კარგი, საშუალო, მომხმარებლის დონე	

10. სხვა ინფორმაცია

დაკავებული გაქვთ თუ არა აკადემიური თანამდებობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში?	
გაქვთ თუ არა ნასამართლობა? *(კონკურსში არ დაიშვება პირი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეზღუდული აქვს მოქმედი კანონმდებლობით)*	
იმყოფებით თუ არა ფსიქონევროლოგიურ ან ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე?	
შენიშვნა: არასწორი მონაცემების ან გაყალბებული დოკუმენტების წარმოდგენა ავტომატურად იწვევს კონკურსიდან მოხსნას ან კონკურსის შედეგის გაუქმებას	

წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას ვადასტურებ,

განმცხადებელი . . . . . .

თარიღი:

დანართები: . . . ფურცელზე.

დანართი 4

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. თბილისი „ _____ “_____ “ 2024 წ.

ერთი მხრივ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მისი რექტორის, დავით გურგენიძის სახით (შემდგომში - დამსაქმებელი) და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი _____ (შემდგომში - დასაქმებული), ერთად _____ წოდებული როგორც „მხარეები“, საქართველოს ორგანული კანონის - საქართველოს შრომის კოდექსის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დამსაქმებელი იღებს სამუშაოზე, ხოლო დასაქმებული თანახმაა, განახორციელოს შრომითი საქმიანობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის _____ ფაკულტეტის პროფესორის/ასოცირებული პროფესორის/ასისტენტ-პროფესორის/ ასისტენტის თანამდებობაზე ---------- აკადემიური დატვირთვით.

1.2. დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ასევე მისი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით, ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაოთა აღწერილობით, დამსაქმებლის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქციებითა და დამსაქმებლის სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. **დასაქმებულს უფლება აქვს:**

2.1.1.დამსაქმებლისაგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, შრომის შინაგანაწესისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვა;

2.1.2. დამსაქმებლისაგან მოითხოვოს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელი შრომის უსაფრთხო პირობების შექმნა და დაცვა;

2.1.3. ისარგებლოს საქართველოში დაწესებული უქმე დღეებით.

2.1. დასაქმებული ვალდებულია:

2.2.1. დაკავებული თანამდებობის შესაბამისად შეასრულოს სასწავლო-სამეცნიერო და მეთოდური სამუშაო ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაოთა აღწერილობის შესაბამისად;

2.2.2. სასწავლო პროცესის წარმართვისას იხელმძღვანელოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი შესაბამისი დებულებებითა და ინსტრუქციებით. მათ შორის დამსაქმებლის მიერ დადგენილი პერიოდულობით შეავსოს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით განსაზღვრული სტუდენტის შეფასების ფორმები და სხვა;

2.2.3. დაემორჩილოს დამსაქმებლის გადაწყვეტილებებს ყოველი სემესტრის დასაწყისში დადგენილი აკადემიური დატვირთვისა და შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ოდენობის ცვლილების შესახებ, თუ ასეთი გამოწვეულია დამსაქმებლის სტრუქტურული რეორგანიზაციით, სასწავლო პროცესის, სტუდენტთა კონტინგენტის ცვლილებით ან/და სხვა ობიექტური გარემოებებით;

2.2.4. დამსაქმებელს მიაწოდოს ინფორმაცია, სხვა დამსაქმებელთან მუშაობის დაწყების თაობაზე, აგრეთვე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავების ან/და ინფორმაცია საათობრივი დატვირთვის შესახებ.

2.2.5. დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, აგრეთვე უნივერსიტეტში მოქმედი სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი ნორმები;

2.2.6. წერილობით შეატყობინოს დამსაქმებელს მის პირად მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ასეთ ცვლილებიდან ერთი კვირის განმავლობაში;

2.2.7. დამსაქმებლის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ინფორმაცია ადრინდელი საქმიანობის შესახებ და შეუფერხებლად წარუდგინოს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული მონაცემები;

2.2.8. არ გათქვას კონფიდენციალური ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, დაიცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები;

2.2.9. პირადად და სრულად აგოს პასუხი ნებისმიერი ზიანისათვის, მათ შორის დამსაქმებლის საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის და/ან დანაკარგისათვის, რომელიც მიადგება დამსაქმებელს, მისთვის მინდობილი ქონების არამიზნობრივად გამოყენების შედეგად ან დაუდევრობით.

2.3. **დამსაქმებელს უფლება აქვს:**

2.3.1. მოსთხოვოს დასაქმებულს წინამდებარე ხელშეკრულებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით და პასუხისმგებლობის ნორმებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებებით, ინსტრუქციებითა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვა;

2.3.2. უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად, შრომის შედეგების მიხედვით მისცეს დასაქმებულს დანამატი, ჯილდო ან პრემია.

2.3.3. დადგენილი წესების შესაბამისად განახორციელოს დასაქმებულის მიერ ლექცია-სემინარების ჩატარების პროცესის მონიტორინგი და უნივერსიტეტის შინაგანაწესით განსაზღვრული შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში შეუჩეროს შრომის ანაზღაურების გაცემა და დაიწყოს მის მიმართ დისციპლინური წარმოება.

2.4. **დამსაქმებელი ვალდებულია:**

2.4.1. გააცნოს დასაქმებულს შინაგანაწესი, შინაგანაწესში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შემთხვევაში, გააცნოს აღნიშნული ცვლილებები;

2.4.2. უზრუნველყოს დასაქმებულისათვის შესაბამისი პირობების შექმნა დაკისრებული ფუნქციებისა და ვალდებულებების შეუფერხებლად შესრულებისათვის;

2.4.3. უზრუნველყოს დასაქმებულის შრომისა და სხვა სოციალური გარანტიები საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;

2.4.4. უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის დროული ანაზღაურება ამ ხელშეკრულების შესაბამისად;

2.4.5. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას მოახდინოს დასაქმებულთან საბოლოო ანგარიშსწორება არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა.

3. შრომის ანაზღაურება

3.1. დამსაქმებელი დასაქმებულს ყოველთვიურად, შრომის ანაზღაურების სახით უხდის შესაბამის თანამდებობრივ სარგოს ლარის ოდენობით, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) გადაწყვეტილების შესაბამისად;
3.2. ხელშეკრულების 2.2.3. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, აკადემიური დატვირთვის ცვლილებისას და დამსაქმებლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შესაძლებელია ცალმხრივად მოხდეს ყოველთვიური შრომის ანაზღაურების ცვლილება, რაც არ საჭიროებს ცვლილებას ამ ხელშეკრულებაში;
3.3. დასაქმებულს შრომის ანაზღაურებიდან დაექვითება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სათანადო გადასახადი;
3.4. შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 7 (შვიდი) რიცხვისა.

4. სამუშაო დრო და შვებულება

4.1. დასაქმებულის სამუშაო დრო და რეჟიმი განისაზღვრება საქართველოს შრომის კოდექსის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის და სასწავლო პროცესის მოთხოვნების/საჭიროების შესაბამისად.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2024/2025 სასწავლო წლის დაწყებიდან და მოქმედებს 4 წლის ვადით.
5.2. ხელშეკრულების ვადის გასვლა მისი შეწყვეტის საფუძველია. ამასთან, ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს შრომის კოდექსით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე, დამსაქმებლის ინიციატივით, დასაქმებულის მიერ ეთიკის კოდექსის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების ან/და ამ ხელშეკრულების/ხელშეკრულების დანართის ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში.

6. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

6.1. დასაქმებულს დამსაქმებლის მიერ გაგზავნილი შეტყობინება მიღებულად ჩაეთვლება დამსაქმებლის მიერ მისთვის გახსნილ საუნივერსიტეტო ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნიდან მე-2 დღეს, ასევე მის მიერ ხელშეკრულების გაფორმების დროს ხელშეკრულებაზე დაფიქსირებულ საფოსტო მისამართზე გაგზავნისას, მიუხედავად გზავნილის მიღების არდადასტურებისა.
6.2. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ დამსაქმებელს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო ან თუ ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას.
6.3. დასაქმებულის ბრალით დამსაქმებლისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში, მას ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების სახით;
6.4. მხარეთა შორის შრომითი დავის წარმოშობის შემთხვევაში იგი უნდა გადაწყდეს უშუალოდ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შეთანხმებული პროცედურის გზით, შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით;

6.5. თუ დავის დროს შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ან თუ მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

7. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

7.1. მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ მოიცავს ბუნდოვან დებულებებს და რომ ისინი სრულად გაეცნენ და მიიღეს აღნიშნული პირობები;
7.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით;
7.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, გარდა ხელშეკრულების 2.2.3 და 3.3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
7.4. ხელშეკრულების ხელმოწერიდან ნებისმიერ დროს ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების ძალადაკარგულად ცნობა საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო გადაწყვეტილების ან სხვა გარემოების საფუძველზე, არ იქონიებს გავლენას წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულების ნამდვილობაზე. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ასეთ შემთხვევაში კეთილსინდისიერად აწარმოონ მოლაპარაკებები რათა ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას ისეთი ცვლილებები, რომლებიც შეძლებისდაგვარად შეინარჩუნებს მხარეთა თავდაპირველ მიზანს;
7.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითოეული ხელმომწერი მხარისათვის გადასაცემად.

8. მხარეთა რეკვიზიტები

დამსაქმებელი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ს/კ 211349192
მისამართი: თბილისი, 0171, კოსტავას 77,

რექტორი

დავით გურგენიძე

_____
(ხელმოწერა)

დასაქმებული

_____
(სახელი, გვარი)

_____

_____
(მისამართი)

_____
(პირადი №)

_____
(ტელეფონი)

_____
(ხელმოწერა)

ვადასტურებ, რომ გავეცანი უნივერსიტეტის შინაგანაწესს,
ეთიკის კოდექსს და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს

შრომითი ხელშეკრულების დანართი

ასოცირებული პროფესორის (0,5 საშტატო ერთეული) სამუშაოთა აღწერილობა

1. სასწავლო-პედაგოგიური (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია, საკურსო სამუშაო, საკურსო პროექტი) კვირაში **07 -08 საათი,** წელიწადში **210-240** საათი;
2. საკონსულტაციო ვალდებულება და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის უზრუნველყოფა/მონაწილეობა;
3. **სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა:**

   3.1. ყოველ ორ წელიწადში, არანაკლებ ორი სტატიის გამოქვეყნება ადგილობრივ რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში/კრებულში (აქედან არანაკლებ ერთი - სტუდენტ(ებ)ის თანამონაწილეობით);

   3.2. ყოველ ორ წელიწადში, საერთაშორისო, მაღალ რეიტინგულ რეფერირებად ჟურნალში/კრებულში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება;

   3.3. ყოველ ორ წელიწადში, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში (კონფერენცია, სიმპოზიუმი, ვორკშოპი, სამეცნიერო სემინარი, კონგრესი) მონაწილეობა მომხსენებლის სტატუსით;

   3.4 ოთხი წლის განმავლობაში, გამოაქვეყნოს ერთი სახელმძღვანელო, სამეცნიერო წიგნი, მონოგრაფია ან კრებული;

   3.5. ოთხი წლის განმავლობაში, მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტში.

ასოცირებული პროფესორის ვალდებულებაში შედის, აგრეთვე:

ა) მაგისტრანტის ან/და დოქტორანტის ხელმძღვანელობა (როგორც წესი, ერთდროულად არაუმეტეს 2 მაგისტრანტი და 2 დოქტორანტი);

ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დახვეწა და განვითარებაზე ზრუნვა;

გ) შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ის, საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის მუდმივი განვითარება;

დ) შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ის საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო ლიტერატურის მომზადება/ უზრუნველყოფა.

ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის აკადემიურ დატვირთვაში გათვალისწინებული იქნება განსხვავებული პირობა, რომლის თანახმად, მათი საუდიტორიო დატვირთვა, ნაცვლად კვირაში 07 საათისა, განისაზღვრება 06 საათით ასოცირებული პროფესორისთვის (0,5 საშტატო ერთეულზე).

ხელმოწერა: